



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N5**

ქ. ლანჩხუთი

17. 04. 2018 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ზუკალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვალერი წულაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია, მერიის ადამიანური რესურსების

მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მერიის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ვადაჭკორია, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი, რომელიც დაემატა დღის წესრიგის პროექტს. მან ასევე მიმართა ბიუროს წევრებს, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი განეხილათ პირველ საკითხად, რადგან საკითხის მომხსენებელს, მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსს, დავით პატარაიას ჰქონდა გადაუდებელი სამსახურებრივი შეხვედრა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი დ. პატარაია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი ა. სარიშვილი/
/თანამომხსენებლები: თ. იმედაიშვილი, ა. მახათაძე/*

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი მ. კუნჭულია/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N91 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში,

ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ე. იმნაძე/

10. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2018 წლის 27 აპრილი, 11:00 საათი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის სამხედრო აღრიცხვისა, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსმა, დავით პატარაიამ. მან აღნიშნა, რომ სამსახურის მიერ 2017 წლის პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 2000 წელს დაბადებული 200(ორასი) მოქალაქე. გაწვევის გეგმა შესრულებულია. 2017 წლის საგაზაფხულო გეგმა შეადგენდა 21 წვევამდელს, საშემოდგომო გეგმა კი 20 წვევამდელს. სახელმწიფოში გაწვევის მიმდინარეობის პერიოდში შეფერხებების გამო, გამოგზავნილ იქნა ასევე დამატებითი გეგმა-დავალება, რომელიც წარმატებით შესრულდა. კერძოდ, საგაზაფხულო გეგმა-დავალება ნაცვლად 20-სა ჩაირიცხა 32 წვევამდელი. სულ 41 წვევამდელისა ჩაირიცხა 76 წვევამდელი. გამწვევი კომისია გაიარა 343 წვევამდელმა, აქედან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჩაირიცხულია 76 (სამოცდათექვსმეტი) წვევამდელი. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტის სტატუსი მიენიჭა 100 (ასი) წვევამდელს, სკოლის მოსწავლე 19 (ცხრამეტი), ცოლ-შვილიანი 30 (ოცდაათი), დედისერთა 30(ოცდაათი). სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის მიერ მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: შეზღუდულად ვარგისად ცნობილია 31 (ოცდათერთმეტი) წვევამდელი, დროებით უვარგისია 30(ოცდაათი) წვევამდელი, უვარგისია სამხედრო სამსახურისათვის 5 (ხუთი) წვევამდელი. სხვადასხვა სამხედრო სამსახურებში გადაიგზავნა 9 (ცხა) პირადი საქმე. ასევე, შემოვიდა სხვა სამხედრო სამსახურებიდან 24 (ოცდაოთხი) სხვადასხვა წლებში დაბადებულ წვევამდელთა პირადი საქმე. ზღვრული ასაკით რეზერვში ჩაირიცხა 158 (ასორმოცდათვრამეტი) წვევამდელი.

საზღვარგარეთ იმყოფება 90 (ოთხმოცდაათი) წვევამდელი, არ მოიძებნა 16 (თექვსმეტი) წვევამდელი. მიმდინარეობს მზადება 2001 წელს დაბადებულ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვანად. სარეზერვო სამსახურში აღრიცხვაზე აყვანილ იქნა 294 (ორასოთხმოცდაათოთხმეტი) რეზერვისტი, აქედან სავალდებულო სამსახურიდან დაბრუნდა 37(ოცდაჩვიდმეტი) რეზერვისტი, საკონტრაქტო სამსახურებში წასულია 5 (ხუთი), აღრიცხვიდან მოიხსნა 50 (ორმოცდაათი) რეზერვისტი, შსს-ში გადავიდა 12(თორმეტი), სხვა სამხედრო სამსახურებში გადავიდა 24 (ოცდაოთხი) რეზერვისტი, გარდაიცვალა 14 (თოთხმეტი) რეზერვისტი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული 16 სოციალური პროგრამის განხორციელებას. სამსახური შედგება სამსახურის უფროსის- პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, 3 მთავარი სპეციალისტის - მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტისა და 1 წამყვანი სპეციალისტის- მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტისაგან. სამსახურში დიდი რაოდენობით შემოდის განცხადებები და წერილები. სამსახურში მიმდინარე წლის იანვრის თვიდან შემოსულია 543 წერილი და განცხადება, რაზედაც სამსახურის მიერ ხოციელდება კანონით დადგენილ ვადებში პასუხების მომზადება. სამსახურის დატვირთვიდან გამომდინარე, სამსახურის თანამშრომლებზე ფაქტობრივად თანაბრად ხდება საქმის გადანაწილება და სამსახურში წამყვან სპეციალისტს - მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს უწევს მთავარი სპეციალისტის - მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის დატვირთვით მუშაობა. სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც გულისხმობს თანაბარი სამუშაოს შესრულებისათვის თანაბარი ანაზღაურების მიღებას. მართებულად მიზანშეწონილია, სამსახურში წამყვანი სპეციალისტის- მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი შეიცვალოს მთავარი სპეციალისტის- მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატით და საერთო ჯამში სამსახურის შემადგენლობა განისაზღვროს სამსახურის უფროსის- პირველი რანგი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და 4 მთავარი სპეციალისტით -მესამე რანგი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ 2014-2016 წლებში მუნიციპალიტეტში შექმნილი იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო. ამის შემდგომ, მუნიციპალიტეტში განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაცია, გარკვეულ სამსახურებში მოხდა თანამდებობების შეცვლა და ა.შ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მერიაში შეიქმნას სათათბირო ორგანო, რომელსაც ექნება დებულება, რითაც იგი იხელმძღვანელებს მუშაობის პერიოდში. მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა პროექტი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების შესახებ დადგენილების პროექტი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო წარმოადგენს სათათბირო ორგანოს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების აუცილებელი პირობების შექმნის საკითხებს.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ოპერაციისა

და სამკურნალო ხარჯების პროგრამა არ არის მორგებული მოსახლეობაზე, რადგან ერთჯერადი დახმარების პროგრამაში ფულადი სახსრების ამოწურვა სწრაფად ხდება, საოპერაციო და სამკურნალო ხარჯების პროგრამით კი ისინი ვერ სარგებლობენ, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არა აქვს მინიჭებული სოციალური სარეიტინგო ქულა, ამიტომ აუცილებელია პროგრამიდან სარეიტინგო ქულის ამოღება, რათა ადამიანებს მიეცეს საშუალება ისარგებლონ აღნიშნული პროგრამით.

ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარემ, **ლელა ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით სხვა მუნიციპალიტეტების სოციალური დახმარების პაკეტში არსად არ არის სარეიტინგო ქულის მიხედვით დახმარების გაწევა განსაზღვრული.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ ერთჯერადი დახმარების პროგრამაში ფულადი სახსრები ორ თვეში ამოიწურა. მისი მოსაზრებით, თუ მოხდება ერთჯერადი დახმარების და საოპერაციო ხარჯების დაფინანსების პროგრამის რაიმე ფორმით გაერთიანება, ფულადი სახსრები მაქსიმუმ 6 თვეში ამოიწურება. მისი თქმით, აქ მთავარია შესაბამისი ფინანსების მოძიება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მოუწოდა ბიუროს წევრებს, რომ მუნიციპალიტეტის მერთან, ასევე მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად დეტალურად განიხილონ აღნიშნული საკითხი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ გაჟღერებულ საკითხთან დაკავშირებით მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ უნდა იქნას მომზადებული შესაბამისი პროექტი.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება

- მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3.პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა. მან აღნიშნა, რომ 2017 წელს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სულ მობილიზებულია საგადასახადო, არასაგადასახადო და არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები 2569.5 ათ. ლარი ანუ გეგმა შესრულებულია 94.4%-ით, მათ შორის - საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულებულია 100.7%-ით, აქედან საშემოსავლო გადასახადის საკასო შესრულებამ შეადგინა 601,5 ათ. ლარი /109,4%/; საწარმოთა ქონების გადასახადის საკასო შესრულებამ შეადგინა 408,7 ათ. ლარი /102,2%/; ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესრულებამ შეადგინა 20,0 ათ. ლარი /200,0%/; სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის საკასო შესრულებამ შეადგინა 121,0 ათ. ლარი /134,5%/; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე კი 409,8 ათ. ლარი /82,0%/; არასაგადასახადო შემოსავლების საკასო შესრულებამ შეადგინა 957,8 ათ. ლარი და გეგმა 105,5%-ით არის შესრულებული; აქედან ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან მიღებულია 153,6 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 71,8%-ით; მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა)გადაცემიდან შემოსავალმა შეადგინა 9,3 ათ. ლარი /92,6%-ით/; სანებართვო მოსაკრებლიდან მიღებულია 15,3 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 153,2%-ით; დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან მოსაკრებლის სახით მიღებულია 9,2 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 67,3%-ით; არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან მიღებულია 31,2 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 312,5%-ით; ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მიღებულია 728,5 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 112,1%-ით; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულია 10,6 ათ. ლარი; არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია 50,5 ათ. ლარი, შესრულებულია 19,2%-ით; სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური დახმარების სახით მიღებული აქვს 14085,2 ათ. ლარი ანუ გეგმის 107,9%, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 5354,2 ათ. ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 220,0 ათ.ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 3510,3 ათ. ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან (აზიური ფაროსანას წინაღმდეგ) 106,2 ათ. ლარი, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ 4737,0 ათ. ლარი, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებულია 140,0 ათ. ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საფინანსო წლის განმავლობაში სულ შემოსულობების სახით მიღებულია 16654,7 ათ. ლარი ანუ გეგმის 105,6%-ი. ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი

დამტკიცდა 2016 წლის 28 დეკემბერს N30 დადგენილებით 8147600 ლარის ოდენობით; 2017 წლის 17 თებერვლის N3 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება ბიუჯეტი გაიზარდა 212375 ლარით და განისაზღვრა 8359975 ლარის ოდენობით; 2017 წლის 31 მარტის N11 დადგენილებით შევიდა ცვლილება, დაემატა 2483000 ლარი და განისაზღვრა 10842975 ლარით; 2017 წლის 30 მაისის N17 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტი გაიზარდა 501188 ლარით და განისაზღვრა 11344163 ლარით; 2017 წლის 13 ივნისის N18 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 265472 ლარით და განისაზღვრა 11609635 ლარით; 2017 წლის 30 ივნისის N21 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 138869 ლარით და განისაზღვრა 11748504 ლარით; 2017 წლის 18 ივლისის N22 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 17514 ლარით და განისაზღვრა 11766018 ლარით; 2017 წლის 28 ივლისის N23 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 2128042 ლარით და განისაზღვრა 13894060 ლარით; 2017 წლის 06 სექტემბრის N26 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 247000 ლარით და განისაზღვრა 14141060 ლარით; 2017 წლის 27 ოქტომბრის N33 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 10748 ლარით და განისაზღვრა 14151808 ლარით; 2017 წლის 28 ნოემბრის N35 დადგენილებით განხორციელდა დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში შიდა ცვლილება და განისაზღვრა 14151808 ლარით; 2017 წლის 25 დეკემბრის N36 დადგენილებით ბიუჯეტი შემცირდა 128404 ლარით და განისაზღვრა 14023404 ლარით; სულ საფინანსო წლის პერიოდში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად როგორც შემოსავალის, ისე ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 5875804 ლარით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული იქნა 13314,6 ათ. ლარის ხარჯი; მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1560,9 ათ. ლარი, გაწეული მიმდინარე ხარჯების 11,1%-ია; შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე 308,3 ათ. ლარი გაწეული ხარჯის 2,2%-ი; მივლინების ხარჯების დაფინანსებაზე 6,6 ათ. ლარი; ოფისის ხარჯების დაფინანსებაზე 279,5 ათ. ლარი, /ხარჯის 1,9%-ის/; წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებაზე 12,6 ათ.ლარი; რბილი ინვენტარის ხარჯების დაფინანსებაზე 1,2 ათ.ლარი; ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯებზე 121,4 ათ.ლარი /ხარჯის 0.87%-ი/; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯებზე 207,3 ათ.ლარი /ხარჯის 1,48%-ი/; არაფინანსური აქტივების ხარჯვაზე მიიმართა 4829,9 ათ.ლარი /ხარჯის 34,4%-ი/; სუფსიდირების წესით დაფინანსებაზე მიიმართა 5082,7 ათ.ლარი /ხარჯის 36,2%-ი/; სოციალური პროგრამის დაფინანსებაზე მიიმართა 334,6 ათ.ლარი /ხარჯების 2,39%-ი/; სხვა ხარჯების მუხლით გაწერილია 299,0 ათ. ლარი /ხარჯების 2,1%-ი/; ვალდებულების კლების მუხლი 270,4 ათ.ლარი /ხარჯების 1,9%-ი/. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირებისათვის გაწეული იქნა 719,0 ათ.ლარის ხარჯი ანუ ბიუჯეტით გაწეული ხარჯის 5,1%-ი; მუნიციპალიტეტის გამგეობის ფუნქციონირებისათვის გაწეული იქნა 1529,6 ათ. ლარი ბიუჯეტის ხარჯების 10,9%-ი; სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე მიიმართა 108,4 ათ. ლარი ხარჯების 0.77%-ი; ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალური შენობა-ნაგებობებში დახარჯული წყლის გადასახადი შეადგენს 5,6 ათ. ლარს; გარე განათების მოვლის ღონისძიებაზე მიიმართა 382,3 ათ. ლარი, ხარჯების 2,7%; დასუფთავების და ნარჩენების გატანაზე მიიმართა 647,9 ათ. ლარი, ხარჯების 4,6%; გარე განათებაზე გახარჯული ელექტრო ენერჯის ხარჯზე მიიმართა 158,9 ათ. ლარი, ხარჯების 1,1%-ი, სოც. კულტურული ღონისძიებების დაფინანსებაზე მიიმართა 47,8 ათ. ლარი, ხარჯების 0,3%-ი; რელიგიის მხარდაჭერის პროგრამაზე მიიმართა 40,0 ათ. ლარი, ხარჯების 0,2%-ი; ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის შენახვაზე გახარჯულია 233,9 ათ. ლარი, ხარჯების 1,66%-ი; ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციო ცენტრი დაფინანსდა 1945,8 ათ. ლარით ხარჯების 13,8%-ი; ა(ა)იპ ლანჩხუთის

სპორტული ცენტრის დაფინანსებაზე დაიხარჯა 362,9 ათ. ლარი, ხარჯების 2,5%-ი; ა(ა)იპ მუნიციპალური საფეხბურთო კლუბი გურიას დაფინანსება 86,9 ათ. ლარია, ხარჯების 0,6%-ი; ა(ა)იპ ლანჩხუთის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დაფინანსებამ 156,8 ათ. ლარი შეადგინა, ხარჯების 1,1%-ი; ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო საფეხბურთო სკოლის დაფინანსება 66,8 ათ. ლარია, ხარჯების 0,5%-ი; ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება დაფინანსდა 920,3 ათ. ლარით, ხარჯების 6,5%-ი; შპს ლანჩხუთი დაფინანსდა 113,7 ათ. ლარით, ხარჯების 0,8%-ი; ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებაზე გაიხარჯა 122,9 ათ. ლარი, ხარჯების 0,8%-ი; ა(ა)იპ ლანჩხუთის მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის დაფინანსებაზე გაიხარჯა 98,4 ათ. ლარი, ხარჯების 0,7%-ი, სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე მიიმართა 367,6 ათ. ლარი, ხარჯების 2,6%-ი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის ობიექტების დაფინანსებაზე გაიხარჯა 5198,7 ათ. ლარი ბიუჯეტით გაწეული ხარჯების 37,0%-ი. მათ შორის: ნაპირსამაგრი სამუშაოებზე მიიმართა 508,8 ათ. ლარი, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 3118,7 ათ. ლარი, არასაცხოვრებელი ბინათმშენებლობის (გრიგოლეთის ბაზა) სამუშაოებზე 368,7 ათ. ლარი, სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიიმართა 603,9 ათ. ლარი, კულტურის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 116,3 ათ. ლარი, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე 12,7 ათ. ლარი, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 391,2 ათ. ლარი, ჯანდაცვის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 78,3 ათ. ლარი.

2017 წელს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ ხორციელდებოდა განყოფილებაზე დაკისრებული ყველა უფლება-მოვალეობა. ამასთანავე განყოფილების მიერ მიღებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი 116 ცალი და შპს „ლანჩხუთი“-ს მიერ წარმოდგენილი 11 ცალი ყოველთვიური ანგარიშის ფორმა. ასევე მიღებულია არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი 10 ცალი და შპს „ლანჩხუთი“-ს მიერ წარმოდგენილი 3 ცალი კვარტლური ბალანსის ფორმა. აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ აღნიშნული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და შპს მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ფორმები შედარებული იქნა ა(ა)იპ-ების და შპს მიერ წარმოდგენილ წლიურ ხარჯთაღრიცხვებთან და მათ მიერ გაწეულ ხარჯებთან. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა 2017 წლის I, II, III და IV კვარტლების ბალანსების, 2017 წლის დეკემბრის თვის ყოველთვიური ანგარიშგების ფორმებისმიღება-დამუშავებაზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 692119 ლარს, ცენტრალური ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 5422577 ლარს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მონეტარული ზღვარის გათვალისწინებით 2017 წლის განმავლობაში სულ გამოცხადებული იქნა 31 ტენდერი, არ შემდგარი ტენდერების რაოდენობა შეადგენს 2, ორივე ტენდერი გამოცხადებული იქნა მრავალფუნქციური პრინტერის შესყიდვის მიზნით. ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მიზნით შეწყვეტილი იქნა ორი ტენდერი. ტენდერების შედეგად მიღებული იქნა 256239 ლარის ეკონომია. ინფორმაცია ტენდერების შესახებ ასახულია დანართი №1-ში. ტენდერის საშუალებით გაფორმებული იქნა 27 ხელშეკრულება. სულ 2017 წლის განმავლობაში შესყიდვების განყოფილების მიერ გაფორმებული იქნა 203 ხელშეკრულება. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულების შესაბამისად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამუშაოების შესრულების მიზნით გამოყოფილია 2907178 ლარი. გამოყოფილი თანხით

ფინანსდება სულ 15 სამუშაო. ყველა ხელშეკრულებაზე უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აგვისტოს N1401 განკარგულების შესაბამისად მუნიციპალიტეტს გამოეყო 707225 ლარი. აღნიშნული თანხით დაფინანსდა ორი სამუშაო. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი იქნა 1607000 ლარი. გამოყოფილ თანხაზე გაფორმებულია ხელშეკრულებები. სამუშაოები დასრულდა ვადის დაცვით.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციას – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, თანამომხსენებლად მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის ადმინისტრაციული და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა მაგული კუნჭულიამ. მან აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამსახური თავის საქმიანობას წარმართავდა მოქმედი კანონმდებლობის, გამგეობის და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შედიოდა როგორც ადმინისტრაციული სამსახური, ასევე მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილება, საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილება,

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება. მან წარმოადგინა საანგარიშო პერიოდში მათ მიერ გაწეულ მუშაობის შედეგები:

ადმინისტრაციული სამსახური ახდენდა საკრებულოსა და გამგებლის დავალებების რეგისტრაციას და მათი შესრულების კონტროლს. საქმისწარმოებაში დაშვებული დოკუმენტების სათანადო გატარებასა და დოკუმენტბრუნვას, საქმეთა ნომერკლასტურის ბრუნვასა და არქივირებას. სამსახურის ინიციატივით გაარქივებული იქნა გამგეობაში არსებული 4 წლის დოკუმენტაცია 2011 წლამდე. სამსახური ახდენდა გამართულ კომუნიკაციას მუნიციპალიტეტის ორგანოებსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის, მოქალაქეებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, იურიდიულ პირებთან და სხვა ორგანიზაციებთან. მუნიციპალიტეტის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას. ორგანიზაციულ - ტექნიკურად უზრუნველყოფდა გამგეობის სამუშაო თათბირებს, აგრეთვე გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულებისა და გამგეობის თანამდებობის პირების მიერ სხვა ღონისძიებების ჩატარებას. გამგეობის სამუშაო ოქმების წარმოებას. შესყიდვების გეგმის შესაბამისად აწარმოებდა მუნიციპალიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას და უზრუნველყოფას. ორგანიზებას უწევდა თანამშრომელთა შვებულებებს, მივლინებებსა და სამსახურის თანამშრომლების მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. ახორციელებდა მუნიციპალიტეტის ქონების დაცვას, ქონების ჩამოწერას სათანადო კომისიის მეშვეობით, კანონის სრული დაცვით.

ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გატარებულ იქნა ფინანსური 600 ბრძანება და არაფინანსური 521 ბრძანება, დადგენილება 7; ასევე ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გაცემულ იქნა 1054-ცნობა; გამგებლის მიერ გამოცემული ბრძანების დელეგირების შესაბამისად ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მზადდებოდა სხვადასხვა სახის წერილები და კორესპოდენციები, სულ ჯამში 300. 2017 წლის მდგომარეობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში შემოვიდა: საკრებულოში -530 კორესპოდენცია და მოქალაქეთა განცხადება . გამგეობაში - 10307 კორესპოდენცია და მოქალაქის განცხადება. ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ 2017 წელს გაშუქდა სხვადასხვა სახის ინფორმაცია, როგორც ინფრასტრუქტურულ საკითხებზე, ასევე სოციალურ თემებზე. სოციალურ ქსელ ფეისბუქზე არსებულ გვერდი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა“ წელს მონახულა 40 ათასზე მეტმა მომხმარებელმა. მათი ასაკი 13-დან 65 წელზე მეტია. მომხმარებელთა 66 პროცენტი ქალია, 34 პროცენტი კი - მამაკაცი. გვერდს ყოველ კვირეულად იწონებს ათასობით ადამიანი. არის გამოხმაურებები, წერილები. 2017 წელს ხსენებული გვერდის სტუმრები იყვნენ როგორც საქართველოს სხვადასხვა ქალაქების მაცხოვრებლები, ასევე გვერდს ესტუმრნენ და ინფორმაციებს გაეცნენ შემდეგი ქვეყნებიდან: საბერძნეთი, იტალია, რუსეთი, ბანგლადეში, გერმანია, ბრაზილია, ისრაელი, საფრანგეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ჩეხეთი, უკრაინა, ფიჯი, ბელგია, კანადა, ბელგია, შვედეთი, ავსტრია და ა.შ. სულ 30-ზე მეტი ქვეყნიდან. განყოფილების მუშაობის შედეგად სოციალური ქსელის მომხმარებელი გაეცნო ინფორმაციებს ლანჩხუთში მიმდინარე მოვლენებზე; ასევე გაშუქდა ინფორმაციები სოციალურ თემებზე. სპორტის შესახებ, ახალგაზრდულ საკითხებზე და ა.შ. საერთო ჯამში, განყოფილებამ სოციალური ქსელის მეშვეობით საჯარო გახადა 500-ზე ინფორმაცია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს

აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://lanchkhuti.org.ge/>, სადაც პროაქტიურად ქვეყნდება საჯარო ინფორმაცია. 2017 წელს აღნიშნულ გვერდზე გამოქვეყნდა მიმდინარე წელს მიღებული 35 დადგენილება, 101 განკარგულება, საკრებულოს სხდომის 129, ბიუროს 101, კომისიების და ფრაქციების სხდომების 100-მდე ოქმი; ასევე გამოქვეყნდა 18 ინფორმაცია კონკურსის შესახებ; საერთო კრების 55 ოქმი; 471 პროექტი და 30 აუქციონი. მერიის ადმინისტრაციული და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **მაგული კუნჭულიამ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულის შენობაში განთავსებული ორგანიზაციების მიერ არ ხდება კომუნალური გადასახადის გადახდა, რასაც აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს უნდა დაევალოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დარბაზში გახმოვანებისთვის, ასევე საკრებულოს იურიდიულ და ეთიკის კომისიისთვის პრინტერის შესაძენად საჭირო სახსრების მოძიება.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ იურიდიული სამსახურის მიერ 2017 წლის მანძილზე მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების, განკარგულებების და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის დადგენილების 7 პროექტი; ბრძანებების პროექტები. სამსახურის მიერ მომზადდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ 34, მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 39 და შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარების შესახებ 16 ბრძანება. პასუხი გაეცა სამსახურში შემოსულ კორესპონდენციებს (წერილები, განცხადებები) სამსახურის მიერ ხდება სხვადასხვა სამსახურების მიერ მომზადებული წერილებისა და სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირება. სამსახური ჩართულია სასამართლო პროცესებში, იურიდიულ კონსულტაციას უწევს გამგეობის სამსახურებს, ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლებს და სპეციალისტებს.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული ცვლილებით შეიცვალა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სახელწოდება და იგი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.“

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ქართული ოცნება–მრეწველები“, „ქართული ოცნება–მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N91 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N91 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება-კონსერვატორები“, „ქართული ოცნება-მრეწველები“, „ქართული ოცნება-მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა ელიკო იმნაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N43 განკარგულებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - (გრიგოლეთში მდებარე საფეხბურთო ბაზა, (ს/კ N27.15.42.898)) აღარ არის „ა(ა)პ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს სარგებლობაში, რის გამოც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, აღნიშნული ქონების მოვლა-პატრონობისათვის, ესაჭიროება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა (დამლაგებლის, დარაჯისა და ადმინისტრატორის) რაოდენობის გაზრდა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილებას, სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის. კერძოდ, ყოველდღიური ფოტო და ვიდეოგადაღებისთვის ესაჭიროება ოპერატორი, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, საქმეთა სიმრავლის გამო (კომისიას სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან“ სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში ეწერება ძალიან ბევრი შუამდგომლობა) ესაჭიროება სპეციალისტი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას ესაჭიროება შრომით

ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდა და ორი ერთეული საჯარო მოსამსახურის დამატება.

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნება არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნების 5%-ს, მაგრამ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დადგენილი შეზღუდვიდან შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება მუნიციპალიტეტის შემთხვევაში - მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ქართული ოცნება–მრეწველები“, „ქართული ოცნება–მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ელიკო იმნაძე.

სხვადასხვა:

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ იყო შემთხვევა, როდესაც ცენტრალურ მაგისტრალზე მკვდარი პირუტყვის გადაყვანა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთელმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ მიერ მოხდა, რაც არ არის ამ სამსახურის ვალდებულება, ეს იყო მათი მხრიდან გამოჩენილი კეთილი ნება. მისი თქმით, სხვა შემთხვევაში მსგავსი პრობლემები უნდა მოაწესრიგოს საგზაო დეპარტამენტმა, რომლის შემადგენლობაშიც შედის ავტომაგისტრალი.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მკვდარი პირუტყვის გადაყვანა გზიდან საგზაო დეპარტამენტის ვალდებულებაა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქონელი მოცილებული იყო გზიდან დაახლოებით 2 მეტრის მანძილზე და საგზაო დეპარტამენტმა არ აიღო საკუთარ თავზე ამ ვალდებულების შესრულება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ** აღნიშნა, რომ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ოცდაათი ოჯახი მოწყვეტილია ცენტრალურ გზას. ახალი გზის გაყვანაზე და გაწმენდაზე გამოცხადდა ტენდერი, რომლის გამარჯვებულებაც მზადაა შეასრულოს სამუშაო, მაგრამ მას ექმნება გარკვეული პრობლემა მუნიციპალიტეტის მხრიდან და სამუშაოები ჯერჯერობით არ სრულდება.

მერიის მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ ეს არ არის ახალი პრობლემა, საქმე იმაშია, რომ აღნიშნული გზის მონაკვეთი არის დამეწყრილი და იქ გზის გაყვანამ შესაძლოა უარესი შედეგი გამოიწვიოს. შესაბამისად, მაღალი რისკის გამო მუნიციპალიტეტმა აღნიშნული სამუშაოს პროექტირებაზე თავი შეიკავა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძემ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში N1 საშუალო სკოლის მიმდებარედ არხი არის გასაწმენდი, რადგან არის ძალიან უსიამოვნო სუნით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ** აღნიშნა, რომ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში 4 წელია მიმდინარეობს სტადიონის მშენებლობა, რომლის ღირებულება შეადგენს 30 000 ლარს და ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, რაც მისი თქმით, არის სამარცხვინო ფაქტი.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

